ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 11

ნახუნაოს საჯარო სკოლა

19 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახუნაოს საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ გერასიმე კიკალიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ,,გოჩა ჩიხლაძე'' (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გოჩა ჩიხლაძეს სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საკანცელარიო ნივთების შესყიდვა (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 საკანცელარიო საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასს) ლარს

მათ შორის:

2.1.1 საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 30100000) ღირებულება შეადგენს 75,00 ლარს.

2.1.2. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 22800000) ღირებულება შეადგენს 25,00 ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: სკოლის ადმინისტრაცია

4.2. მიმწოდებლის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ პირს წარმოადგენს: შპს „საქართველოს ფოსტის" საწყობისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

4.3. საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: მარტვილის რაიონი სოფელი ნახუნაო, ნახუნაოს საჯარო სკოლა

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის მოქმედებით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და **მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე**

შემსყიდველი:

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახუნაოს საჯარო სკოლა
მის: მარტვილის რაიონი სოფელი ნახუნაო
საიდენტიფიკაციო კოდი: 235444355
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკის მარტვილის ფილიალი"
ბანკის კოდი: 220101439
ა/ა: GE50LBO1211381334020000
ტელ: 577642329, 598330285
Email: ssipnaxunao@gmail.com

დირექტორის მ/შ
გერასიმე კიკალიშვილი

მიმწოდებელი:

ი.მ. ,, გოჩა ჩიხლაძე"
მის: ქ. მარტვილი
საიდენტიფიკაციო კოდი: 29001005936
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკის მარტვილის ფილიალი''
ბანკის კოდი: ბ/კ LBRTGE22
ა/ა: GE27LB0112146545329000
ტელ:

ი.მ.
გოჩა ჩიხლაძე